

კონკურსანტის სახელი, გვარი: ანასტასია ხურციძე

ასაკი: 17 წლის

სკოლის დასახელება: ი.ოცხელის სახელობის ქ. ქუთაისის N2 საჯარო სკოლა

კლასი: XI

წერილი ევროპელ თანატოლს – დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

ძვირფასო მეგობარო,

მინდა გიამბო ჩემს ქვეყანაზე, ქვეყანაზე, რომელიც ზღაპარს ჰგავს, იმ ზღაპარს, სადაც ყოველთვის არის ბრძოლა, მაგრამ ყოველთვის იმარჯვებს სიყვარული. ეს პატარა მიწა, რომელსაც საქართველო ჰქვია, შავი ზღვის, კავკასიონის მთებისა და უძველესი ტრადიციების თავშესაფარია. აქ დავიბადე მე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შვილად, მაგრამ ჩემი ქვეყნის გზა თავისუფლებამდე არც თუ ისე მარტივი აღმოჩნდა.

ჩემი ქვეყნის ისტორია წარსულის ტკივილებითა და მომავლის რწმენით არის ნაწარმოები. 1918 წელს, როდესაც მსოფლიო ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის ჭრილობებს იხვევდა, საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა სცადა. ეს იყო წამი სიბნელეში, რომელსაც ნათელი მოჰქონდა, მაგრამ ამ ნათებას მალე საბჭოთა ჩრდილი გადაეფარა. 1921 წელს წითელი არმიის შემოსვლით ქვეყნის თავისუფლება დაირღვა და მრავალი ათწლეულის განმავლობაში საქართველო რკინის ფარდის მიღმა აღმოჩნდა. ახლა კი მინდა თარიღებსა და ოფიციალურ განცხადებების მიღმა დაგანახო ის, რაც ბევრად ღრმა და ადამიანურია. ეს არის ჩვენი ერის მტკიცე ხასიათისა და თავისუფლების სიყვარულის ამბავი. საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ დაეცვათ მთავარი ფასეულობა, ის, რაც ქართველს ქართველად აქცევდა. მათთვის თავისუფლება მხოლოდ სიტყვა არ ყოფილა. ეს იყო არჩევანი, რომელსაც ყველგან და ყოველთვის იცავდნენ. დაკარგული ტერიტორიების, აკრძალული ენისა თუ დარბეული ეკლესიების ფონზე კი, ისინი არ ღალატობდნენ რწმენას, რომ საქართველო ისევ შეძლებდა სუნთქვას სუფთად და დამოუკიდებლად. ხალხში არასდროს დამკვიდრებულა მორჩილება. დამოუკიდებლობის სურვილი თანდათან მწიფდებოდა ფარულად, მაგრამ ძლიერად და, როდესაც 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი დემონსტრაცია სისხლით დაარბიეს, საქართველომ ხმა კიდევ ერთხელ ამოიღო, სწორედ აქედან იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის ნამდვილი შანსი. საქართველო, რომელიც დამოუკიდებლობის დასამკვიდრებლად ემზადებოდა, მალე რთულ და გამოწვევებით სავსე გზას დაადგა. პირველი ნაბიჯები თავისუფლებისკენ მძიმე და დაუნდობელი აღმოჩნდა. 1990-იანი წლები ქვეყნისთვის მუდმივი შფოთვის, ეკონომიკური სიდუხჭირისა და სისხლიანი კონფლიქტების ჟამი იყო. შიდა დაპირისპირებები არ ცხრებოდა, ხოლო ქვეყნის ნაწილი ოკუპირებული რჩებოდა. თითოეულმა დღემ მძიმე კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა მოსახლეობა არ ნებდებოდა. სწორედ ამ ტკივილში იბადებოდა ის ძალა, რომელიც კიდევ ერთხელ ამაგრებდა რწმენას, რომ ამ მიწას ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი თავისუფლებისთვის. ქვეყანა, რომელმაც 90-იანი წლების ტკივილი გადაიტანა, ახლა ახალ ცვლილებებს ელოდა. ხალხში იზრდებოდა სურვილი არა მხოლოდ არსებობის, არამედ ღირსეული ცხოვრებისთვის. დრო გადიოდა, როცა ხალხი აღარ ელოდა სასწაულს, არამედ თავად ქმნიდა მას. 2003 წელს, მშვიდობიანმა მოქალაქეებმა გადაწყვეტილება მიიღეს რომლის თანახმადაც სახელმწიფო, რომელსაც ემსახურები, უნდა ყოფილიყო ძლიერი, სამართლიანი და ადამიანზე ორიენტირებული. ასე დაიწყო ვარდების რევოლუცია

.ქუჩებში გამოვიდა არა ძალადობით, არამედ რწმენით შეიარაღებული თაობა. მშვიდობიანი აჯანყება კორუფციის, სიყალბისა და იმედგაცრუების წინააღმდეგ გაიმართა. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამ ქვეყნისთვის ახალი შესაძლებლობები გახსნა. უვიზო რეჟიმმა ახალგაზრდებს თავისუფლად გადაადგილებისა და სწავლების გზა გაუხსნა. თავისუფალი მედია და გამჭვირვალე სასამართლო უზრუნველყოფდნენ საზოგადოების ინფორმირებულობასა და სამართლიანობას. განათლების სისტემამ კი მხარდაჭერა გაუწია თავისუფალ და კრიტიკულ აზროვნებას. ამ რეფორმებმა კიდევ უფრო განამტკიცა ქართველთა რწმენა ევროპული ღირებულებებისადმი.

ბოლოს კი მინდა გითხრა , რომ საქართველოს გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე არ იყო მარტივი, არამედ იყო რთული და მრავალფეროვანი ეპოქების ნაზავი. ეს არის ისტორია, სადაც წარსულის ტკივილმა შექმნა მომავლის იმედი, სადაც დაპირისპირებებმა გააჩინა ერთობა და სადაც ბრძოლის სიბნელეში ნათელი სიცოცხლის მოტივაცია დაიბადა. დღეს საქართველო წინ მიიწევს თავდადებითა და რწმენით. მინდა გახსოვდეს რომ ძალა ერთობაშია, და ერთად, ერთმანეთის დახმარებით კი ჩვენი სამშობლოს უკეთესი და ნათელი მომავლისთვის ვიბრძოლებთ.

Contestant's name, surname: Anastasia Khurtsidze

Age: 17 years old

School name: I. Otskeli St. Kutaisi Public School N2

Grade: XI

## Letter to a European Peer – From Independence to Freedom

Dear friend,

I want to tell you about my country, a country that resembles a fairytale, one of those fairytales where there is always struggle, but love always triumphs. This small land called Georgia is a homeland of the Black Sea, the Caucasus Mountains, and ancient traditions. Here I was born as a child of an independent state, but my country's path to freedom turned out to be not so simple.

My country's history is woven from the pains of the past and faith in the future. In 1918, when the world was still healing the wounds of the First World War, Georgia declared independence and attempted to create a democratic republic. It was a moment of light in the darkness, but this light was soon overshadowed by the Soviet shadow. In 1921, with the invasion of the Red Army, the country's freedom was violated, and for many decades Georgia found itself behind the Iron Curtain. Now I want to show you what lies beyond dates and official declarations – something much deeper and more human. This is the story of our nation's steadfast character and love of freedom.

For centuries, our ancestors tried to protect the main value – that which made Georgians Georgian. For them, freedom was not just a word. It was a choice they defended everywhere and always. Even against the backdrop of lost territories, a banned language, or destroyed churches, they never betrayed their faith that Georgia would once again be able to breathe purely and independently. Submission was never established among the people. The desire for independence gradually matured secretly but strongly, and when the peaceful demonstration was violently suppressed on April 9, 1989, Georgia raised its voice once again. This is where Georgia's real chance for independence begins. Georgia, which was preparing to establish independence, soon embarked on a difficult and challenging path. The first steps toward freedom proved to be heavy and relentless. The 1990s were a time of constant anxiety, economic hardship, and bloody conflicts for the country. Internal confrontations did not cease, while part of the country remained occupied. Each day left a heavy mark in Georgia's history. But despite everything, the population did not give up. It was precisely in this pain that the strength was born that once again strengthened the faith that this land still had a place for freedom.

The country that endured the pain of the 1990s was now awaiting new changes. Among the people grew the desire not only for existence but for a dignified life. Time passed when people no longer waited for miracles but created them themselves. In 2003, peaceful citizens made a decision that the state they serve should be strong, just, and human-oriented. Thus began the Rose Revolution. A generation armed not with violence but with faith took to the streets. A peaceful uprising was waged against corruption, falsehood, and disappointment. The Association Agreement with the European Union opened new opportunities for the country. The visa-free regime opened the path for young people to freely move and study. Free media and a transparent judiciary ensured society's awareness and justice. The education system supported free and critical thinking. These reforms further strengthened Georgians' faith in European values.

Finally, I want to tell you that Georgia's path from independence to freedom was not simple, but was a difficult and diverse mixture of epochs. This is a story where the pain of the past created hope for the future, where confrontations gave birth to unity, and where in the darkness of struggle, the bright motivation of life was born. Today Georgia moves forward with dedication and faith. I want you to remember that strength lies in unity, and together, helping each other, we fight for a better and brighter future for our homeland.

